

WRO ეტიკის კოდი

„მნიშვნელოვანი ის კი არაა მოიგე თუ წააგე, არამედ ის თუ რამდენი ახალი რამე ისწავლე.“

WRO შეჯიბრში მონაწილე ყველა გუნდი უნდა იცავდეს შემდეგ პრინციპებს:

ჩვენ მონაწილეობას ვიღებთ შეჯიბრში
ჩვენ გვინდა რომ მოვიგოთ. ჩვენ გვინდა რომ ვისწავლოთ.
და ამავდროულად, გვინდა რომ გავერთოთ.

ჩვენ გვინდა რომ ვითამაშოთ სამართლიანად
ჩვენ ჩვენით ვქმნით რობოტს და ვწერთ მის პროგრამას უსამართლობა იქნება თუ ვინმე
სხვა გააკეთებს ამას ჩვენ მაგივრად.

ჩვენ ვისწავლით მხოლოდ მაშინ თუ ჩვენით ვეცდებით რამის გაკეთებას. ჩვენს
მწვრთნელს შეუძლია გვასწავლოს და მოგვცეს მიმართულება
და შთაგონების წყაროს პოვნაში შეიძლება დაგვეხმარონ სხვებიც.

თუმცა ჩვენმა მწვრთნელმა არ უნდა გააკეთოს საქმე ჩვენ მაგივრად.
და ჩვენ არ უნდა გადმოვაკოპიროთ სხვისი რობოტი ან პროგრამა.
ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მაგალითები რათა შევექმნათ ჩვენი საკუთარი რობოტი და
პროგრამა.

ზოგჯერ დავმარცხდებით და ამასაც არაუშავს.
ორიგინალური იდეები სწორედ დამარცხების შედეგად ჩნდება. გამარჯვება კარგია,
მაგრამ დამარცხებაც ხომ შეჯიბრის ნაწილია.

გუნდის სახელი

მწვრთნელის სახელი	მწვრთნელის ხელმოწერა

გუნდის წევრის სახელი	გუნდის წევრის ხელმოწერა